*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი

შეფასების თარიღ(ებ)ი : 29 - 30 ივნისი, 2020 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი : 22 ივლისი, 2020 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------



ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა - პანსიონი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | ა(ა)იპ |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 443854189 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ❖ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ❖ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ❖ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ხაშური |
| იურიდიული მისამართი | ხაშური, რუსთაველის ქუჩა N2 |
| ფაქტობრივი მისამართი | ხაშური, რუსთაველის ქუჩა N2 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| საფოსტო ინდექსი | 5700 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | Samreklo.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | Samreklo_s@msil.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 551234034 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | მეუფე სვიმეონი (თეიუმარაზ ცაკაშვილი) |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 551254034 |
| ელ-ფოსტა | m.svimeoni@mail.ru |

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის ბრძანება MES 2 20 00408397 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2020 წლის 29 და 30 ივნისი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ნელი ნასყიდაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | გულნარა ხაბურზანია |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------



ბ.ა.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☐ | ☒ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეების შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☐ | ☒ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | 1.2. | დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 32-ის მე-8 და მე-12, ასევე მუხლი 2[1] - ის ზ) და პ) პუნქტები:<br>- სკოლა-პანსიონმა ვერ წარმოადგინა საბაზო-საშუალო საფეხურზე I სემესტრსა და V კლასის II სემესტრში დაგეგმილი და განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ სრული დოკუმენტაცია;<br>- სკოლა-პანსიონში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები ძირითადად არის ტესტური ტიპის და არ არის გამოყენებული კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები;<br>- შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაციაში არ არის შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. [signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ქ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------



ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | დავალების პირობა, არ ჩანს რომელ საგანში და რომელ წელს არის ჩატარებული ეს შემაჯამებელი დავალება, არ არის მასწავლებლის მიერ შემუშავებული, საგნის სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით, მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები (იხილეთ, დანართი № 1 - 4 ფურცლად). |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.4.* | დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის 41-ე მუხლის, პუნქტი 6-ის ზ) ქვეპუნქტი: გარემო პირობების აკომოდაცია: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება, სკოლა-პანსიონის მეორე სართულზე არის მოწყობილი ერთი ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა იქ და საკლასო ოთახებში რომ მოხვდეს მოსწავლე, მან უნდა ისარგებლოს შენობის სათადარიგო კიბის უჯრედის პირველ სართულზე დადებული ხის ასაკეცი პანდუსებით, რომლითაც მისი გადაადგილება არის შეუძლებელი. |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------
------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.2.* | ა) შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები(ეროვნული სასწავლო გეგმა - მუხლი 32-ის პუნქტი 8);<br>ბ) თითოეული მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები, ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა (ეროვნული სასწავლო გეგმა - მუხლი 32, პუნქტი 12; მუხლი 2¹-ის ზ) პუნქტი: „სწავლა-სწავლება, ისევე როგორც შეფასება, უნდა დაიგეგმოს და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | განხორციელდეს შედეგებზე/ინდიკატორებზე დაყრდნობით", მუხლი 2[1]-ის პ) შეფასების ინდიკატორები - „შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისათვის"). |
| | | |
| | | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.4. | სკოლა-პანსიონმა უნდა დაამონტაჟოს მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელი პანდუსები, რათ გადადგილების შეზღუდული უნარის მქონე მოსწავლეს მიეცეს სასწავლო პროცესში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა. |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | | |
| | | |

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი, განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ესთეტიკური და |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფიზიკური მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შედგენას, რომელიც გაითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და მიდრეკილებებს, სწავლებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას მშობლებსა და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით. სკოლა-პანსიონი ვალდებულებას იღებს მოსწავლეთა მიღწევები აქციოს უმაღლეს პრიორიტეტად და მის განსახორციელებლად მოიზიდოს საჭირო ფინანსები და ადამიანური რესურსები. სკოლა-პანსიონის საქმიანობა მიმართული იქნება თითოეული მოსწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლა - პანსიონი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და ეროვნული ღირებულებების მატარებელი პიროვნების აღზრდას.<br>სკოლა-პანსიონის მისიაა საქართველოში ქრისტიანულ ფასეულობებზე დაფუძნებული, ჯანსაღი, წიგნიერი და შემწყნარებელი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. |

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი |
|---|---|
| | • საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეაჯეროს სასკოლო სასწავლო გეგმაში, შინაგანაწესსა და სკოლის ვებ - გვერდზე განსხვავებულად ფორმულირებული სკოლის მისია და შექმნას მისიის ერთი ვერსია - **შესრულებულია;**<br>• ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ - **ნაწილობრივ შესრულებულია;**<br>• შემუშავდეს IX და XI კლასებში სკოლა-პანსიონის მიერ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი - **შესრულებულია;** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------



ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სასურველია შემუშავდეს მშობლებთან ურთიერთობის ერთიანი და მკაფიო წესი, თუ როგორ, რა პერიოდულობითა და რა ფორმით მოხდება მშობლის ინფორმირება - **შესრულებულია;**<br>• წიგნების გაცემა აუცილებლად უნდა აისახოს მოსწავლისა და მასწავლებლის ფორმულარებში, ამასთანავე, დამუშავდეს საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის გაიდლაინით - ასოციაციის დოკუმენტების შეკრებისა და სისტემატიზაციის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის წესით; დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია წინა ვიზიტის დროს მიღებული რეკომენდაცია, თუმცა სრულყოფილად არ არის დაცული საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის წესები. **ნაწილობრივ შესრულებულია.**<br>• პედაგოგთა და პერსონალთა პირადი საქმეების მოწესრიგების შესახებ- **შესრულებულია** (ექსპერტთა ვიზიტის დროს პერსონალის პირადი საქმეებში იყო ის დოკუმენტაცია, რასაც სკოლის მიერ განსაზღვრული ნორმები ითვალისწინებდა);<br>• პედაგოგების მიღება განხორციელდეს 174/ნ-ის შესაბამისად (საჯაროდ კონკურსის გამოცხადებით)-- **დაწესებულებას ახსოვდა აღნიშნული რეკომენდაცია და გეგმავდა საჭიროების შემთხვევაში მის გათვალისწინებას.** |

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| მოსწავლეთა | ☐ | სკოლა-პანსიონის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. [signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ჯ. [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| რაოდენობა: | ექსპერტი არ ეთანხმება ☒ | მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობაა - 400 მოსწავლე. ვიზუალური დათვალიერებისას გაირკვა, რომ სკოლა-პანსიონს მფლობელობაში უდასტურდება 367 ერთეული მოსწავლის ინდივიდუალური მერხისა და 8 ერთეული მოსწავლის ორადგილიანი მერხის ფლობა, რაც ჯამში 375 მოსწავლეზეა გათვლილი. |

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა - პანსიონის მიერ წარმოდგენილი, 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, შინაარსითა და სტრუქტურით შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და შედგება შემდეგი ნაწილებისგან:<br>• სკოლა-პანსიონის მისია;<br>• სკოლაში სამუშაო პირობები და დღის რეჟიმი;<br>• მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით;<br>• საგანმანათლებლი რესურსები და 2019-2020 სასწავლო წლისათვის სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა საგნებისა და კლასების მიხედვით;<br>• სასკოლო საათობრივი ბადე;<br>• დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;<br>• შეფასების ტიპები, კომპონენტები; |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ნ.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: მ.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------



ბ.ა.

- IX და XI კლასებში სკოლა-პანსიონის მიერ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი;
- სასკოლო ორიენტირები;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის;
- შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები;

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი :

- **საათობრივი ბადე აზუსტებს:** ა) ყველა საგნის წლიური ჯამური საათების რაოდენობას; ბ)სწავლების სამივე საფეხურზე, თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს დღეებისა და დროის მიხედვით საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით, გაკვეთილების დაწყება-დამთავრების და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობას, არჩევითი საგნების ნუსხას;
- **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით** განსაზღვრულია: ა)დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; ბ)დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე: ფაკულტატური და სავალდებულო; გ)თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის ამ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმა(სწავლების მიზანი, საჭირო საათების რაოდენობა, შეფასების ფორმა, საჭირო რესურსების ჩამონათვალი);
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების **შეფასების პრინციპები** მოიცავს დაწესებულებაში დანერგილ შეფასების მიდგომებს, კერძოდ: V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრების მიხედვით ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას, მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესსა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროცედურას (აღდგენის ვადა და მისი ჩატარების ფორმა), განსაზღვრავს საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადასაყვან მინიმალურ ბარიერს.<br><br>სკოლა-პანსიონში ისწავლება ყველა სავალდებულო საგანი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2019-2020 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• პედსაბჭოს ოქმი;<br>• სკოლა-პანსიონის ვებგვერდი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონში მოსწავლეთა ინტერესების გაღვივებისა და მათი შესაძლებლობების განვითარების მიზნით ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: ხალხური ცეკვის - ხატწერის, ხალხური რეწვის( გობელენი, თექა), გალობისა და ხალხური სიმღერის. წრეებში გაერთიანებულები არიან I-VIII კლასის მოსწავლეები. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები ერთად მეცადინეობენ და მონაწილეობენ როგორც სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ შესაბამის ღონისძიებებში. სკოლა პანსიონში აგრეთვე ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების და ინტელექტუალთა კლუბი. მათი მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ატვირთულია ვებ-გვერდზე.<br><br>I-IV კლასის მოსწავლეებისათვის გაკვეთილების შემდეგ დამატებითი მომსახურების სახით ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი, სადაც მოსწავლეებს დღის მეორე ნახევარში შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ საშინაო დავალებებზე; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეროვნული გეგმით გაუთვალისწინებელი სავალდებულო მომსახურების სახით სკოლა-პანსიონში ისწავლება: ა) რელიგიების ისტორია - I-XII კლასებში (ორ საათიანი კვირეული დატვირთვა), ბ) ძველი ქართული დამწერლობა - V-VI კლასებში (ერთი საათი კვირაში), ხოლო ფაკულტატურის სახით: ხატწერა, ხალხური რეწვის სახეები, გალობა და ხალხური ცეკვა.<br><br>სკოლა - პანსიონის მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სახის, როგორც შიდასასკოლო კათედრების მიერ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ინიცირებით განხორციელებულ შემეცნებით/საგანმანათლებლო პროექტებში, რაც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და ეროვნული ღირებულებების მატარებელი პიროვნების აღზრდას უწყობს ხელს. მაგალითად, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ,,მწვანე საჩუქრის მიერ გამოცხადებულ ფოტო, პრინტი და ვიდეო კონკურსში, "შეამცირე შენი ეკონაკვალევი". აღნიშნული კონკურსი მიმდინარეობდა პროექტის "ნარჩენი ≠ ნაგავი" ფარგლებში, დაფინანსებული USAID პროგრამის მიერ.<br><br>სკოლა-პანსიონში ფუნქციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა:<br>1. დაწყებითი სწავლების კათედრა;<br>2. საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული (ქართული ენა და ლიტერატურა, ჩვენი საქართველო, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, მე და საზოგადოება, მოქალაქეობა);<br>3. უცხოური ენების(ინგლისური ენა და რუსული ენა);<br>4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების(ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია);<br>5.მათემატიკის (მათემატიკა, ინფორამციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები);<br>6.ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი).<br><br>კათედრები აერთიანებს საგნობრივი ჯგუფების ყველა მასწავლებელს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილია კლასებსა და საგნებში შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა.<br><br>სკოლა პანსიონში ყველა კლასს ჰყავს კლასის დამრიგებელი, წარმოდგენილია 22-ვე კლასის სადამრიგებლო პროგრამები.<br><br>სკოლა-პანსიონის მიერ თვითშეფასებასთან და განაცხადთან თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო მასწავლებლების მიერ ხელით ნაწერი შემაჯამებელი დავალების ანალიზის თითო - თითო ფორმა შემდეგ საგნებში :<br>VII კლასი - ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა;<br>VIII კლასი - ბიოლოგია;<br>VI კლასი - ბუნება, გეოგრაფია;<br>IX კლასი - ინგლისური ენა, ფიზიკა, ქიმია, ქართული ენა და ლიტერატურა;<br>VIII(ბ) კლასი - ქართული ენა - ლიტერატურისა და საბუნებისმეტყველოს (პრეზენტაციის ფორმის შემაჯამებლის ანალიზი).<br><br>ვთხოვეთ წარმოედგინათ V კლასის მეორე სემესტრსა და საბაზო-საშუალო საფეხურზე პირველ სემესტრში დაგეგმილი და ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია, რაზედაც მივიღეთ პასუხი, რომ ეს დოკუმენტაცია მაკულატურაში იყო და ვერ წარმოადგენდნენ, ან შესაძლოა მასწავლებლებს ჰქონოდათ სახლებში.<br><br>შემდეგ ვთხოვეთ, დისტანციის დაცვით პედაგოგებთან შეხვედრა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.<br><br>მხოლოდ სამმა მასწავლებელმა (ისტორია-სამოქალაქო განათლების, ბუნებისმეტყველება-ფიზიკის და დაწყებითების II-III კლასების) შეძლო დაწესებულებაში მოსვლა, თუმცა ვერცერთმა მათგანმა პირველი სემესტრში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაცია **სრულად** ვერ წარმოადგინა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

| | |
|---|---|
| | განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა:<br><br>1) ისტორია-სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მიერ - VI ა., VII ა., VIII ბ, XI და XII კლასების ტესტის მხოლოდ თითო დოკუმენტი;<br>2) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ - VI კლასის მხოლოდ ერთი შემაჯამებლის შესახებ, VIII კლასის ხუთივე შემაჯამებლის შესახებ, (სადამრიგებლო კლასია ) და X კლასების (ყოველ კლასში მხოლოდ თითო შემაჯამებლის შესახებ);<br>3) V–VI კლასის ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის მასწავლებლის მიერ.<br><br>წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებები მხოლოდ ტესტური ტიპისაა. მათში არ არის მასწავლებლების მიერ შემუშავებული მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები. მხოლოდ ფიზიკის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემაში იყო მასწავლებლის მიერ შემუშავებული ქულებში გაწერილი მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები.<br><br>**მოსწავლის მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მასწავლებელი აფასებს შემაჯამებელი დავალებებით, რომელთა შესახებ დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ იქნა.**<br>ამდენად,<br>**მოსწავლის შეფასების პრინციპების განხორციელებისას დარღვეულია შემაჯამებელი დავალების კომპონენტის დაგეგმვა/განხორციელების მიდგომები. კერძოდ:**<br><br>ა) სკოლა პანსიონმა ვერ წარმოადგინა საბაზო-საშუალო საფეხურზე I სემესტრში და V კლასის მეორე სემესტრში დაგეგმილი და განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ სრული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------
---------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტაცია;<br><br>ბ) სკოლა-პანსიონში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები არის ძირითადად ტესტური ტიპის და არ არის გამოყენებული კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები;<br><br>გ) შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაციაში: არ არის შემაჯამებელი დავალების ნომერი, არ აწერია რომელი საგნის შემაჯამებელი დავალების დოკუმენტია, არ არის შემაჯამებელი დავალების პირობა, არ ჩანს რომელ წელს არის ჩატარებული ეს შემაჯამებელი დავალება, არ არის შემუშავებული საგნის სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები (იხილეთ, დანართი № 1 - 4 ფურცლად). რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნის მიღებისა და უნარების, ღირებულებების განვითარების შესაძლებლობას.<br><br>დაწესებულებას **გაეწია შემდეგი რეკომენდაცია:**<br><br>ა) შემაჯამებელი დავალების კომპონენტში **სავალდებულოა** კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები **(ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 32, პუნქტი 8);**<br>ბ) თითოეული მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, **კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები,** ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ბ.ნ.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: გ.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა (ეროვნული სასწავლო გეგმა - მუხლი 32, პუნქტი 12 და მუხლი 2[1] -ის ზ) და პ) პუნქტები). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2019-2020 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• წრეებისა და კლუბების მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• კლასის დამრიგებლების სამოქმედო პროგრამები;<br>• საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები;<br>• სკოლა-პანსიონის ვებგვერდი;<br>• დანართი № 1- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი - 4 ფურცლად; |
| შეფასება: | ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონში მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით, მშობელთან ინტერვიურებით და გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებთან დამატებითი, ინდივიდუალური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.<br><br>სკოლა-პანსიონში, 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ამ მოსწავლეებიდან ერთ - ერთის მასწავლებლის განმარტებით, ეს გეგმები მასწავლებლებმა შეადგინეს ხაშურის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლეების უნარების შეფასებისას გაკეთებული დასკვნების საფუძველზე და მასწავლებელების მხრიდანაც, მათი შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელებულია მოსწავლეებთან მუშაობა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა-პანსიონს მიეცა რჩევა: ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვროს ისგ ჯგუფი, რომელიც იხელმძღვანელებს ეროვნული სასწავლო გეგმის 42[1], 43, 44-მუხლებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2019-2020 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• სსსმ მოსწავლის მასწავლებელთან ინტერვიურება;<br>• ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;<br>• სსსმ მოსწავლის საქაღალდე. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც საკლასო ჟურნალების დათვალიერებისას და მშობელთან ინტერვიურებისას გაირკვა :<br><br>ა) სკოლა-პანსიონში დაწყებით საფეხურზე საშინაო დავალების კომპონენტში განმსაზღვრელი შეფასება არ გამოიყენება;<br>ბ) I – IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეთა შეფასება ხდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით;<br>გ) V კლასის მეორე სემესტრსა და VI - XII კლასებში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება; მოსწავლე ფასდება 10 ქულიანი სიტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა არის 10;<br>დ) V კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში(„საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" და სპორტი) მოსწავლეები შეფასებულები არიან ჩათვლის სისტემით;<br>ე) დამატებითი სავალდებულო საგნებში მოსწავლეები ფასდებიან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ჩათვლის სისტემით.<br><br>მოსწავლის შეფასების კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამონგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების შესაბამის მიდგომებს.<br><br>IV კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო კლასის დამრიგებლების მიერ მოსწავლეთა დახასიათებები ტრადიციული სახით. დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახებში გამოკრული იყო, ერთი და იმავე სახის, მოსწავლის კომენტარებით შეფასების ხუთდონიანი პოსტერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საკლასო ჟურნალების დათვალიერება;<br>• საკლასო ოთახების დათვალიერება;<br>• დაწყებითი საფეხურის მშობელთან და მასწავლებელთან ინტერვიურება;<br>• სკოლა-პანსიონის დირექციასთან ფოკუსჯგუფი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონში შემუშავებულია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების წესი.<br><br>ყველა კლასს ჰყავს კლასის დამრიგებელი, რომლებიც იყენებენ ინფორმირების შემდეგ მექანიზმებს:<br><br>1. მოსწავლეებისა და მშობლების მესენჯერ ჯგუფები;<br>2. მობილურ ტელეფონზე შეტყობინებების გაგზავნა;<br>3. ელ ფოსტა(რომელიც, როგორც აღნიშნეს ნაკლებად ეფექტურია);<br>4. სკოლა-პანსიონატის შემოსასვლელში, თვალსაჩინო ადგილას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გამოკრული საინფორმაციო დაფა;<br>5. Zoom-ში მშობელთა კრებები;<br>6. მშობლების სკოლაში ვიზიტი-პირადი შეხვედრები მშობლებთან.<br><br>სკოლა-პანსიონის ისტ-ის პედაგოგთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მის მიერ შექმნილია teams-ის ანგარიში. შეყვანილია კლასის ჯგუფები, ყოველი კლასის მოსწავლეთათვის იქმნება ანგარიშები, რომლებიც დაურიგდებათ მოსწავლეებს და მომდევნო სასწავლო წელს სკოლა იხელმძღვანელებს ამ პლატფორმით როგორც სწავლა/სწავლებისათვის, ასევე მშობელთა ინფორმირების მიზნით.<br><br>სასწავლო პროცესის დაწყებამდე იგი გეგმავს ტრენინგების ჩატარებას პედაგოგებისათვისაც, ადმინისტრაციის წევრებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ისტ-ის პედაგოგთან ინტერვიურება;<br>• სასწავლო ნაწილის გამგესთან ინტერვიურება;<br>• კლასის დამრიგებლებთან ინტერვიურება;<br>• კათედრების საქაღალდეების დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო-სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელშიც შემუშავებულია სასწავლო წლის ბოლოს შესაფასებელი უმთავრესი საკითხები და მისი გაუმჯობესების მექანიზმები.<br><br>მიმდინარეობს სკოლის საგნობრივი კათედრების სამუშაო ჟურნალების წარმოება, რომელშიც გაკვეთილებზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ურთიერთდასწრებისა და შეფასების შევსებულ ანკეტებში მასწავლებლის შეფასება ხდება 17 კრიტერიუმის მიხედვით;<br>შექმნილია სკოლის შიდა შეფასების ჯგუფი და არსებობს მისი საქმიანობის აღმწერი საქაღალდე; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2019-2020 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ;<br>• კათედრის პორტფოლიო;<br>• შინაგანაწესი;<br>• სკოლა-პანსიონის შიდა შეფასების ჯგუფის საქაღალდე. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| რეკომენდაციები: | ა) შემაჯამებელი დავალების კომპონენტში **სავალდებულოა** კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები(ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 32, პუნქტი 8);<br>ბ) თითოეული მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები, ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა (ეროვნული სასწავლო გეგმა - მუხლი 32, პუნქტი 12) |
| რჩევები: | სკოლა-პანსიონში, ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვროს ისგ ჯგუფი, რომელიც იხელმძღვანელებს ეროვნული სასწავლო გეგმის 42[1], 43-ე და 44 - ე მუხლებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ხარვეზები: | ა) სკოლა - პანსიონმა ვერ წარმოადგინა საბაზო-საშუალო საფეხურზე, I სემესტრსა და V კლასის II სემესტრში დაგეგმილი და განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ სრული დოკუმენტაცია;<br>ბ) სკოლა-პანსიონში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები არის ძირითადად ტესტური ტიპის და არ არის გამოყენებული კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები;<br>გ) შემაჯამებელი დავალებების შესახებ დოკუმენტაციაში არ არის შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, არ ჩანს რომელ საგანში და რომელ წელს არის ჩატარებული ეს შემაჯამებელი დავალება, არ არის შემუშავებული საგნის სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები (იხილეთ, დანართი № 1 - 4 ფურცლად). |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონის ფართის მესაკუთრეა შპს „ევრა". ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს დ. ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი" წარმოადგენს „უზუფრუქტუარ" - ს, უძრავი ქონების 20 წლის ვადით სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ხელშეკრულების, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის 17/06/2010 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე. (რეესტრის ნომერი #100609720, დამოწმების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თარიღით 22.06.10).<br>უზუფრუქტის ხელშეკრულების საგანია: შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული მიწის ფართი და დამატებით მიწის თავისუფალი ფართიდან 100 კვ. მ.<br>შენობა-ნაგებობების ჯამური ფართია 3996.70 კვ.მ. და მოიცავს 4 სართულს.<br>შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი :<br>მ/შ სარდაფი - 986.64 კვ.მ,<br>პირველი სართულის ფართი - 1263.00 კვ.მ,<br>მეორე სართულის ფართი - 918.68 კვ.მ,<br>მესამე სართულის ფართი - 933,68 კვ.მ,<br>მეოთხე სართულის ფართი - 881.77 კვ.მ; |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქალაქი ხაშური, ქუჩა რუსთაველი № 2 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 69.08.58.323 ( მომზადების თარიღი: 27/11/2019) |
| *კვ.მ.* | 4332 კვ. მ (საკადასტრო გეგმის მიხედვით ) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან-საკადასტრო კოდი № 69.08.58.323(მომზადების თარიღი 27/11.2019);<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• საკადასტრო გეგმა (ნაკვეთის საკადასტრო კოდით: 69 08 04 050) ;<br>• სკოლა-პანსიონის დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა - პანსიონში 27 საკლასო ოთახია, რომლებიც შენობის მეორე და მესამე სართულებზეა განთავსებული. ამ საკლასო ოთახების გარდა სკოლა-პანსიონში არის: ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთი კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ერთი კაბინეტი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელოვნების ერთი კაბინეტი, ხელწერის ერთი ოთახი. ყველა ეს ოთახები აღჭურვილია 367 ერთადგილიანი და 8 ორადგილიანი მოსწავლის მაგიდითა და სკამით, სასკოლო დაფებითა და ზოგან კარადით, ზოგან თაროებით.<br><br>შენობის მესამე სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: საკონფერენციო მაგიდები და სკამები, პროექტორი და შესაბამისი საჩვენებელი დაფა. პირველ სართულზე არის სპორტული დარბაზი.<br><br>შენობის მეორე სართულზე არის სამასწავლებლო მრგვალი მაგიდითა და მასწავლებლების მუშაობისათვის აუცილებელი ხელშემწყობი პირობებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ადგილზე დათვალიერება;<br>• ჩუქების ხელშეკრულება (07.06.2010 წ.)<br>• სასაქონლო ზედნადება (ელ - 0130741213 –19.08.2014 წ);<br>• საინვენტარიზაციო წიგნი;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონის შენობის პირველ სართულზე არის მაღალჭერიანი, 827.00 კვ.მ ფართის მქონე სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია 2 ერთეული ფეხბურთის კარით, 2 ერთეული ზაგირით, 2 ერთეული კალათბურთის ფარით, ბურთებით, 6 ერთეული ჭადრაკის დაფით, 1 ერთეული მაგიდის ჩოგბურთის მაგიდით და ჩოგნებით. დარბაზში არის გასახდელები - გოგონებისა და ვაჟებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საინვენტარიზაციო წიგნი;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შედგება საკლასო ოთახისა და საპრეპარატო ოთახისაგან. ლაბორატორია აღჭურვილია ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნებისათვის საჭირო იმ სრული კომპლექტით, რომელიც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს № 572 ბრძანებით დამტკიცებულ სარეკომენდაციო ჩამონათვალს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• მატერიალური რესურსების მიღება-ჩაბარების აქტების საქაღალდე;<br>• საინვენტარიზაციო წიგნი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონში საკლასო ოთახები ბუნებრივად ნათდება 2-2 ფანჯრით, აგრეთვე არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა და ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო-გენერატორი; ორივე. მეორე და მესამე, სართულზე არის სველი წერტილები ცალკე გოგონებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის. უწყვეტი წყალმომარაგებით. (სკოლას გააჩნია წყლის ავზი). ეს სველი წერტილები 4-4 ადგილიანია, თუმცა, ადგილზე დათვალიერებისას ისინი მოუწესრიგებელი იყო, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველ სველ წერტილში ერთი მაინც ონკანი და თხევადი საპნის რეზერვუარი იყო მოშლილი ან საერთოდ აღარ იყო, ხოლო 4 ადგილიანი ტუალეტებიდან გამოყენებადი იყო მხოლოდ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

| | |
|---|---|
| | 2.<br>სკოლა-პანსიონში გათბობის სისტემა ცენტრალიზებულია, რომელსაც ამუშავებს ცეცხლფარეში. ალტერნატიული გათბობის საშუალებას წარმოადგენს ელექტროგამათბობლები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ელექტრომომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრები-გადარიცხვები;<br>• ადგილზე დათვალიერება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. წიგნები და სამკითხველო დარბაზი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 3153 ერთეულს. მათ შორის წარმოდგენილია როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა, არჩეული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. აგრეთვე დამხმარე, მხატვრული და რელიგიური ლიტერატურა.<br><br>ბიბლიოთეკას შემუშვებული აქვს დებულება, რომლის თანახმად განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მიზნები და ფუნქციები, ბიბლიოთეკარის და მკითხველის უფლება-მოვალეობები.<br><br>თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები. არსებობს საინვენტარო წიგნი, ფორმულარები, წიგნების შეტანა-გატანის აღრიცხვის ჟურნალი. ბიბლიოთეკაში დგას ინტერნეტში ჩართული ერთი კომპიუტერი, პრინტერი, მაგიდები და სკამები.<br><br>ექსპერტთა **წინა ვიზიტის** დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია წიგნები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაემუშავებინა ბიბლიოგრაფიისა და კატალოგიზაციის ნორმების შესაბამისად. თუმცა რეკომენდაციები ნაწილობრივ იყო შესრულებული. კერძოდ, ყველა წიგნი დამოწმებული იყო ბეჭდით, მაგრამ კატალოგიზაციის ნორმები არც ახლა იყო დაცული: წიგნებს არ ჰქონდათ მინიჭებული საინვენტარო ნომრები(რითაც წიგნები უნდა გატარდეს საინვენტარო წიგნში) და ელექტრონული კატალოგის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ლიტერატურა შეტანილი იყო ბიბლიოგრაფიული ნორმების დაცვის გარეშე, ინფორმაცია წიგნების შესახებ ქაოტურად იყო შეტანილი.<br><br>ექსპერტთა რჩევის საფუძველზე, ვიზიტის 2 დღის განმავლობაში, დაწესებულებამ შეძლო წიგნადი ფონდის ელექტრონული მონაცემების ნაწილობრივ მოწესრიგება. ამ ეტაპზე დაწესებულებას გააჩნია წიგნადი ფონდის აღწერის ფორმა, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული: წიგნის სახელწოდება, ავტორი, გამომცემლობა, გამომცემლობის წელი და ა. შ.<br><br>სკოლა-პანსიონის ადმინისტრაციას კიდევ ერთხელ განემარტა, რომ წიგნები სრულყოფილად უნდა იყოს დამუშავებული საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის ნორმების შესაბამისად. კერძოდ, მოხდეს წიგნებისათვის საინვენტარო ნომრების მინიჭება, რომლის მიხედვითაც საინვენტარო წიგნში აღირიცხება კონკრეტული სახელმძღვანელო/დამხმარე ლიტერატურა და აღიწეროს მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია(დასახელება, კლასი, გამოცემის წელი, გამომცემლობა და ა. შ.). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• მკითხველთა ფორმულარები;<br>• საინვენტარო წიგნში დანომრილი და აღრიცხული წიგნები;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• ჩუქების ხელშეკრულებები; |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა - პანსიონში სწავლობს ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომლებიც არ საჭიროებენ ფიზიკური გადაადგილებისას დახმარებას. მათთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ხორციელდება შესაბამისი მუშაობა.<br><br>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება, სკოლა-პანსიონის მეორე სართულზე არის მოწყობილი ერთი ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა იქ და საკლასო ოთახებში რომ მოხვდეს მოსწავლე, მან უნდა ისარგებლოს შენობის სათადარიგო კიბის უჯრედის პირველ სართულზე დადებული ხის ასაკეცი პანდუსებით, რომლითაც მისი გადაადგილება არის შეუძლებელი.<br><br>სკოლა - პანსიონში ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში ეტაპობრივად დაამონტაჟებდნენ მე-2, მესამე და სპორტის დარბაზში მის გადასაადგილებლად, რაც, რა თქმა უნდა, შეუფერხებლად ვერ მოხერხდებოდა.<br><br>ამჯერადაც, ექსპერტთა რეკომენდაცია ისევ ითვალისწინებს წინა ექსპერტების რეკომენდაციას, რადგან ის განხორციელებული არ არის. კერძოდ, სკოლა-პანსიონმა უნდა დაამონტაჟოს მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელი პანდუსები, რათა ფიზიკურად გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს მიეცეს სასწავლო პროცესში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ადგილზე დათვალიერება;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა - პანსიონს აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების<br>განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, აღჭურვილი ინტერნეტით უზრუნველყოფილი 18 ერთეული პერსონალური კომპიუტერით. სკოლას ჰყავს საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ინფორმაციის საჯაროობის მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია შინაგანაწესი, სკოლის მისია, სკოლის სასწავლო გეგმა, შეფასების კრიტერიუმები, მშობელთან და მასწავლებელთან დასადები ხელშეკრულების ფორმა, მოსწავლეების შემოქმედებისა და ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალა. ვებ-გვერდს აქვს სურვილების ფანჯარა, ადმინისტრაცია ითვალისწინებს მიღებულ რჩევებს. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა. ისტ მენეჯერის ფუნქციები გაწერილია შინაგანაწესში.<br><br>სკოლა-პანსიონს აქვს კიდევ 4 ერთეული კომპიუტერი, რომლებიც განლაგებულია ბიბლიოთეკაში, დირექტორის ოთახში და ადმინისტრაციის ოთახში.<br><br>საქართველოში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლობამ სკოლა-პანსიონს 2020 წლის 15 ივნისს, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ფარგლებში, |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეუძინა და უსასყიდლოდ გადასცა 10 ერთეული ლეპტოპი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვებგვერდი samreklo.ge;<br>• ელექტრონული ფოსტა: Samreklo_s@mail.ru;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>• 10 ერთეული Notebook-ის სკოლა-პანსიონატისათვის უსასყიდლოდ გადაცემის დოკუმენტი(25/06/2020) |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობაში სულ 8 ცეცხლმაქრია. სამივე სართულზე 2-2 ერთეული ცეცხლმაქრია განთავსებული, ერთი ერთეული ცეცხლმაქრი არის ბუფეტში, 1 ერთეული ცეცხლმაქრი განთავსებულია სააქტო დარბაზში. მათი შეძენის თარიღია 2014 წლის 23 სექტემბერი. დაუდგენელია გამოყენების რა ვადით არის ცეცხლმაქრები მზადყოფნაში. მათზე არ იყო დამუხტვისა და მოქმედების ხანგრძლივობის ვადები აღნიშნული. წარმოდგენილი დოკუმენტით დადგინდა, რომ 2 ერთეული ცეცხლმაქრის გადამუხტვა განხორციელდა 2018 წლის ნოემბრის თვეში. ყველა მათგანზე დანაყოფის ხაზი მწვანე ნიშნულზე კი იყო გაჩერებული.<br><br>სკოლა-პანსიონის დირექტორს **ვურჩიეთ** ჰქონოდათ ცეცხლმაქრების ვარგისიანობის შესახებ კომპეტენტური ორგანიზაციების პასუხისმგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მიღება-ჩაბარების აქტი(14 ნოემბერი, 2018 წელი); |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • საგადასახადო ანგარიშფაქტურა(14 ნოემბერი, 2018 წელი);<br>• ინვოისი № ESR – 207(23/09/2014); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია თითო საევაკუაციო გეგმა, რომელიც ბეჭდით არის დამოწმებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მიერ. მასზე აღნიშნულია ცეცხლმაქრების მდებარეობის ადგილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალირება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილია ყოველ სასწავლო დღეს, 9 : 00 საათიდან 15 : 00 საათამდე, კვალიფიციური ექიმი-პედიატრის მომსახურებით. შენობის მეორე სართულზე განთავსებული სამედიცინო ოთახი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და წამლებით. ექიმის ფუნქციები გაწერილია შინაგანაწესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• შინაგანაწესი;<br>• საშტატო განრიგი;<br>• ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონის წესრიგის დაცვა რეგულირდება შინაგანაწესით. ამასთან, დაწესებულებამ მიმართა საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდეგში სამინისტრო) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წერილით, სამინისტროს მიერ 2019 წლის 29 იანვრის ბრძანების თანახმად, დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების მისეული დაზუსტებული ვერსიით, რაზედაც სამინისტროსგან მიიღო რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული და საჭიროებს შინაგანაწესთან შესაბამისობაში მოყვანას და ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტული პასუხისმგებელი პირების მითითებას.<br><br>ამასთან, სკოლას ჰყავს დღე-ღამის სამი დარაჯი და მეთვალყურე, რომლებიც სასწავლო პროცესის განმავლობაში აკონტროლებენ სკოლაში უცხო პირებთა მოძრაობასა და მოსწავლეთა ქცევას დერეფანში, დასვენებებზე. გარდა მეთვალყურისა, დასვენებების პერიოდში მუშაობს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა. რაც უზრუნველყოფს წესრიგის დაცვასა და პერსონალის უსაფრთხოებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დოკუმენტი - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები;<br>• ადმინისტრაციასთან ინტერვიურება;<br>• შინაგანაწესი;<br>• მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონს აკონტროლებს 20 ერთეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერა. მათგან 8 ერთეული პირველი სართულის შიდა პერიმეტრზეა დამონტაჟებული, 5 ერთეული მეორე სართულზე, 2 ერთეული სპორტულ დარბაზში, 1 ერთეული სამზარეულოში, 2 ერთეული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბუფეტში, 1 ერთეული შენობის უკანა პერიმეტრზე.<br><br>ქუჩის მხრიდან სკოლა-პანსიონის შემოსავლელში ორი ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ნაცვლად დამონტაჟებული იყო ერთი. ამის შესახებ ტექნოლოგიების მენეჯერთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ვიდეოსამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების დროს კომპანიას მოუვიდა შეცდომა და შესასვლელში 2 კამერის ნაცვლად დაამონტაჟეს ერთი კამერა, რასაც გამოასწორებდნენ უახლოეს დღეებში.<br><br>აღსანიშნავია, რომ საქართველოში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლობამ სკოლა-პანსიონს 2020 წლის 15 ივნისს, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ფარგლებში, შეუძინა და უსასყიდლოდ გადასცა 21 ერთეული ვიდეოსამეთვალყურეო მოწყობილობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ტექნოლოგიების მენეჯერთან ინტერვიურება;<br>• 21 ერთეულის ვიდეოსამეთვალყურეო მოწყობილობის სკოლა-პანსიონისათვის უსასყიდლოდ გადაცემის დოკუმენტი - REF: FAOGE/2020/06-32;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონში შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, საქმისწარმოების წესი. წესდება წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელშიც გაწერილია დაწესებულებისათვის ნებადართული საქმიანობა და საფინანსო - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ნ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ჯ.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამეურნეო საკითხები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლა-პანსიონის წესდება;<br>• სკოლა-პანსიონის შინაგანაწესი;<br>• საქმისწარმოების წესი;<br>• ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შემუშავებულია სკოლა-პანსიონის განვითარების 2019-2020 წლის ერთწლიანი და 2015-2021 წლების გრძელვადიანი გეგმები. გაკეთებულია ჩატარებული სამუშაობის ანალიზი. ორივე გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.<br><br>ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების დათვალიერებითა და ინტერვიურებით დადგინდა, რომ სკოლამ დასახული მიზნების უმეტესობა სასურველ შედეგად აქცია. კერძოდ, გააუმჯობესა სასკოლო გარემო (საბუნებისმატყველო ლაბორატორია და სასწავლო კაბინეტები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით), გამოცვალა და განაახლა იატაკი საკლასო ოთახებში. დაუგეგმავად, ფორსმაჟორულ სიტუაციაში იმუშავეს დისტანციური სწავლების განსახორციელებლად |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ადმინისტაციის წამომადგენლებთან ინტერვიურება;<br>• ერთწლიანი სამოქმედო და გრძელვადიანი გეგმები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც ითვალისწინებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წესში გაწერილია როგორც აღნიშნული დოკუმენტების მოწესრიგებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობები, ისე ნორმატიული აქტებისა და სხვადასხვა დოკუმენტის მომზადების, გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი (სხდომების, თათბირების, ოქმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება).<br><br>სკოლა-პანსიონში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა, რისთვისაც ხდება: შრომითი ხელშეკრულებების რეესტრის ჟურნალის, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალის, შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალის და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება.<br><br>საქმეთა მმართველის ფუნქცია-მოვალეობაა საკანცელარიო დოკუმენტაციის (ბრძანებები, კადრების აღრიცხვის ფურცლები), შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება - მოწესრიგება, სასკოლო არქივის მოვლა-პატრონობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• სკოლა-ლიცემის საქმისწარმოების წესი;<br>• პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| რეკომენდაციები: | სკოლა-პანსიონმა უნდა დაამონტაჟოს მეორე და მესამე სართულებზე |
|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ასასვლელი პანდუსები, რათა ფიზიკურად გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს მიეცეს სასწავლო პროცესში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა. |
| რჩევები: | - ცეცხლმაქრების დამუხტვა/გამოყენების ვადებზე და პროცედურების დაზუსტების შესახებ სკოლა-პანსიონის დირექტორმა საჭიროა მიმართოს პასუხისმგებელ ორგანიზაციას და მოითხოვოს მათგან არა ზეპირი, არამედ წერილობითი დასტური;<br>- წიგნები სრულყოფილად უნდა იყოს დამუშავებული საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის ნორმების შესაბამისად. კერძოდ: ყოველ წიგნს მიენიჭოს საინვენტარო ნომერი, რომლითაც მოხდება მათი საინვენტარო წიგნში აღრიცხვა და წიგნების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იყო აღრიცხული შესაბამის წიგნში (დასახელება, ავტორი, კლასი, გამომცემლობა, წელი და ა. შ) |
| ხარვეზები: | სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება, სკოლა-პანსიონის მეორე სართულზე არის მოწყობილი ერთი ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა იქ და საკლასო ოთახებში რომ მოხვდეს მოსწავლე მან უნდა ისარგებლოს შენობის სათადარიგო კიბის უჯრედის პირველ სართულზე დადებული ხის ასაკეცი პანდუსებით, რომლითაც მისი გადაადგილება არის შეუძლებელი. |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლას ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: სკოლის ადმინისტრაცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სკოლის მოძღვარი, სამეურნეო ნაწილის გამგე და საფინანსო მენეჯერი/ბუღალტერი),<br>• ტექპერსონალი (მათ შორის ექიმი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი და სხვ.) და სხვადასხვა წრის (ხატწერა, ხალხური რეწვა (გობელენი, თექა), გალობა და ხალხური ცეკვა) ხელმძღვანელები.<br>• დაწესებულებას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მასწავლებელთა რაოდენობა-34, მათგან 2 მაძიებელი და 1 მოწვეული პედაგოგია. მათი საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით გათვალისწინებულ მოთხოვნებს თითოეულთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• შინაგანაწესი;<br>• 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• საშტატო განრიგი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 34 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1 მოწვეული, 2 მაძიებელი |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 13 პრაქტიკოსი |
| უფროსი მასწავლებლი | 18 უფროსი |
| წამყვანი მასწავლებლი | |
| მენტორის სტატუსი | |

**3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br><br>მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კომპეტენციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.<br><br>ყველა მასწავლებელი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებები;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>• საშტატო განრიგი;<br>• eSchool-ის ბაზა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია ყველა თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები.<br><br>შინაგანაწესი განსაზღვრავს ასევე სკოლის სადისციპლინო პოლიტიკას, დისციპლინარული დევნის და წახალისების ფორმებს. სკოლის დირექცია პედაგოგის წარმატებული საქმიანობისათვის აწესებს წახალისების(ცხადდება ბრძანებით) შესაბამის ფორმებს: სიტყვიერი მადლობა;. ფასიანი საჩუქარი; ფულადი საჩუქარი (პრემია).<br><br>შინაგანაწესში მოცემულია სამსახურიდან გათავისუფლების პირობები და დისციპლინარული გადაცდომების ჩამონათვალი.<br><br>წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაეწერათ კონკურსის პირობები 174/ნ-ბრძანების შესაბამისად (საჯაროდ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signature]

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კონკურსის გამოცხადებით). შინაგანაწესის თანახმად, მასწავლებელთა მიღება ხდება კონკურსის წესით ხელშეკრულების წესით, დასახელებულია კონკურსისთვის საჭირო დოკუმენტაცია, თუმცა თავად კონკურსის შესახებ სხვა არაფერია ნათქვამი რა ფორმით ან რა ეტაპებს მოიცავს კონკურსი.<br><br>უნდა ითქვას ისიც, რომ თვითშეფასების კითხვარში დაწესებულებას დეტალურად აქვს აღწერილი: „თანამშრომლის სამუშაოზე მიღება ხორციელდება ვაკანსიის შემთხვევაში, დირექტორის მიერ გამოცხადებული კონკურსის და სამუშაოს მაძიებელი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, დირექტორის მიერ შედგენილი შესაბამისი სპეციალობის მქონე პედაგოგებისაგან დაკომპლექტებული კომისია წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე განიხილავს მაძიებლის პირად მონაცემებს და გასაუბრების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. დირექტორის მიერ მაძიებლის სამუშაოზე მიღება ხდება გამოცემული ბრძანების საფუძველზე. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით განსაზღვრული ვადით".<br><br>ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლის ვაკანტური ადგილის შესახებ განცხადებას განათავსებენ ინტერნეტ სივრცეში. თუმცა ეს უკანასკნელი არ არის ასახული შინაგანაწესში.<br><br>დაწესებულებას ექსპერტთა წევრების მიერ კიდევ ერთხელ განემარტა, რომ **პედაგოგების მიღების წესი და კონკურსის პირობები აისახოს შინაგანაწესში. პედაგოგთა მიღება განხორციელდეს 174/ნ-ის შესაბამისად (საჯაროდ კონკურსის გამოცხადებით).** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• ხელშეკრულებები;<br>• თვითშეფასების კითხვარი;<br>• ინტერვიურება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა-პანსიონის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკურულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. შრომით ხელშეკრულებები გაფორმებულია 2020 წლის 1 სექტემბრამდე.<br><br>ხელშეკრულებები ჩაწყობილია პერსონალის პირად საქმის საქაღალდეში, სკოლაში აწარმოებენ ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალს.<br><br>თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ ხელშეკრულებაში არეულად იყო მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების ინდექსაცია. ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ დაწესებულებას მიეცა საშუალება გამოესწორებინათ აღნიშნული ტექნიკური შეცდომა. ვიზიტის დასრულებამდე საქმისმწარმოებელმა წარმოადგინა გასწორებული ხელშეკრულებები.<br><br>სკოლა-პანსიონმა, 2020 წლის პირველ მაისს, ხელშეკრულება გააფორმა ფსიქოლოგთან, თუმცა შინაგანაწესში არ იყო ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი.<br><br>პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებისას რამდენიმე ხელშეკრულებას არ ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირის (დირექტორის) ხელმოწერა, ხელშეკრულება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამოწმებული იყო მხოლოდ ბეჭდით და თავად დასაქმებულის ხელმოწერით, აღნიშნული ეწინააღმდეგება თავად დაწესებულების წესდებას, რომელშიც პირველი თავის, მესამე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად „დოკუმენტის ნამდვილობისთვის გადამწყვეტია ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერა." (დანართი № 2 - ამონარიდი წესდებიდან - 1 ფურცლად და დანართი № 3 - შრომითი ხელშეკრულება № 19 - 3 ფურცლად)<br><br>ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ წარმოადგინა რამდენიმე ხელშეკრულების გასწორებული ვარიანტი, რომელიც სრულად შეესაბამებოდა შრომის კოდექსსა და კანონმდებლობას. თუმცა ყველა ასეთი ხელშეკრულების გასწორება ვერ მოხერხდა, ამიტომ აღნიშნული ტექნიკური საკითხის მოსაგვარებლად მათ ითხოვეს დრო (არგუმენტირებული პოზიციის წარდგენამდე). მათ განკარგულებაში მყოფი 10 დღის მანძილზე სკოლა-პანსიონმა ვერ წარმოადგინა ყველა შესწორებული ხელშეკრულება(დირექტორის ხელმოწერით).<br><br>ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დაწესებულებამ მიიღო რჩევა, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას სრულად დაიცვან სკოლის წესდებისა საქმისწარმოების ყველა წესი(დოკუმენტს უნდა ახლდეს ორგანიზაციის წამომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერა). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• წესდება;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• შინაგანაწესი;<br>• დანართი № 2- ამონარიდი წესდებიდან - 1 ფურცლად;<br>• დანართი № 3 - შრომითი ხელშეკრულება № 19 - 3 ფურცლად. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას. შექმნილია მასწავლებელთა შიდა შეფასების ჯგუფი. მასწავლებლები მონაწილეობენ საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო ცენტრისა და ორგანიზაცია „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის" მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში („გზა ევროპული და ევროატლანტიკური ინგერაციისკენ", „საქართველო ევროპულ ოჯახში" და სხვ.). გარდა ამისა, ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მასწავლებლები ხშირად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინტერვიურება;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• კათედრის ოქმები;<br>• მასწავლებელთა შიდა შეფასების ჯგუფის ოქმები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის თანახმად, თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების კულტურა. დაწყებითი საფეხურის ყველა საკლასო ოთახში გამოფენილია მოსწავლეთა ნახატები, რომლებიც მიანიშნებენ იმაზე, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემოქმედებითობისა და ინდივიდუალიზმის გამოვლენას.<br><br>გარდა ამისა, სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ტარდება სხვადასხვა გამოკითხვა. ანკეტირების შედეგების გაცნობისას იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კათედრების პორტფოლიოები;<br>• სკოლის ვებგვერდი;<br>• შინაგანაწესი;<br>• ინტერვიურება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | • პედაგოგების მიღების წესი და კონკურსის პირობები აისახოს-შინაგანაწესში. პედაგოგთა მიღება განხორციელდეს 174/ნ-ის შესაბამისად;<br>• შინაგანაწესში გაიწეროს ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობები და აღნიშნული ცვლილება აისახოს შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. ხელშეკრულების გაფორმებისას სრულად დაიცვან სკოლის წესდებისა საქმისწარმოების ყველა წესი(დოკუმენტს უნდა ახლდეს ორგანიზაციის წამომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერა). |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

სულ 3 დანართი, 8 ფურცლად

- დანართი № 1- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი - 4 ფურცლად;
- დანართი № 2- ამონარიდი წესდებიდან - 1 ფურცლად;
- დანართი № 3 - შრომითი ხელშეკრულება № 19 - 3 ფურცლად.

ქ. ხაშური 05/07/2020

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა - 55

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ბ. ნ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ე. [signature]

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

დანართი №1
(4 ფურცელი)

# შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი N

მასწავლებელი [illegible]
კლასი V
თემა [illegible]
კავშირი სტანდარტთან : [illegible]

| მოსწავლი სახელი გვარი | ცოდნა-1ქულა | გაგება-1 ქულა | გამოყენება 1 ქულა | ანალიზი-2 ქულა | სინთეზი-3 ქულა | შეფასება-4-ქულა | მოსწავლის შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი ტესტური დავალების ნომერი | | | | | | |
| | | | | | | | |
| [illegible] | 7 | | 5 | | | | 9 |
| [illegible] | 7 | | 8 | 2 | | | 10 |
| [illegible] | 8 | | 8 | 2 | | | 10 |
| [illegible] | 6 | | 8 | 2 | | | 8 |
| [illegible] | 8 | | 8 | 1 | | | 9 |
| [illegible] | 3 | | 5 | | | | 8 |
| [illegible] | 6 | | 7 | 2 | | | 9 |
| [illegible] | 5 | | 8 | | | | 9 |

[illegible]

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

ტესტის მაქსიმალური ქულა არის 18

მოსწავლის შეფასება გამოითვლება: მოსწავლის მიერ მიღებული ქულა მრავლდება 10 და იყოფა ტესტის მაქსიმალურ ქულაზე

შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზს თან ერთვის შეფასების რუბრიკა

ზოგადი ხასიათის პრობლემები და სავარაუდო მიზეზები [illegible]
[illegible]

რეკომენდაციები პრობლემის გადასაჭრელად [illegible]
[illegible]
[illegible]

BOARDING-SCHOOL NAMED OF DIMITRI ... 385418...

მაქსიმალური ქულა 18 V კლასი ჩვენი საქართველო

სახელი [illegible]
გვარი [illegible]
თარიღი ______

(8) I შემოხაზე სწორი პასუხი: (5)

(3 სწორი პასუხი)

1) საქართველოს ცენტრია:
ა) სიღნაღი ბ) [illegible] გ) [illegible] 1

2) საქართველოს [illegible] ესაზღვრება:
ა) [illegible] ბ) [illegible] გ) [illegible] 0

3) [illegible] საქართველოდან [illegible]:
ა) [illegible] ბ) [illegible] გ) [illegible] 0

4) [illegible] არის:
ა) [illegible] ბ) [illegible] გ) [illegible] 1

5) 1646 წელს "ვეფხისტყაოსანი" გადაწერა და მოხატა საქართველოს [illegible]:
ა) დავით [illegible] ბ) [illegible] გ) ვახტანგ II [illegible] 1

6) ჩამოთვლილთაგან [illegible] საქართველოს [illegible]?
ა) [illegible] ბ) [illegible] გ) [illegible] 0

7) ჩამოთვლილთაგან [illegible] რომელი [illegible] გავრცელებულია საქართველოში?
ა) [illegible] ბ) [illegible] გ) [illegible] 1

8) ჩამოთვლილთაგან რომელი [illegible]?
ა) მგელი ბ) [illegible] გ) [illegible] 1

(8) II. ჩამოთვლილი სიტყვებიდან [illegible] [illegible] [illegible]
(8) [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible].

1) [illegible] [illegible], რომლებიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible], საქართველოს [illegible] 1

GEORGIAN PATRIARCHY BOARDING SCHOOL